**ხელშეკრულება № 72**
**მოძრავი ნივთის ჩანაცვლების შესახებ**

ქ. ბათუმი 04 მარტი 2011 წელი

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ – „ხელშეკრულება") – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ „შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3 „მიმწოდებელი" ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4 „ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა და სადაზღვევო კომპანიამ ერთობლივად მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული

***2. ხელშეკრულების მხარეები***

2.1 წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია:

ერთის მხრივ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი, (მისამართი: ქ. ბათუმი, კ. გამსახურდიას ქ. № 9 წარმოდგენილი აპარატის უფროსის ომარ მეგრელიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი"), **სს „სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგი"**, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი კვირიკაძის და მისი მოადგილის მურაზ ფიჩხაძის სახით (შემდგომში - მზღვეველი) და მესამე მხრივ შ.პ.ს. „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი", წარმომადგენელი მისი დირექტორის მაშუკა წაქაძის სახით (შემდგომში - მიმწოდებელი) ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგეზე:

***3. ხელშეკრულების საგანი***

3.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანია:

3.1.1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატისა და სს "სადაზღვევო კომპანია ჯი პი აი ჰოლდინგს" შორის 2010 წლის 01 თებერვლის გაფორმებული №16 ხელშეკრულების საფუძველზე, 2011 წლის 31 იანვარს მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტომანქანის (ავტომანქანის სრული მონაცემები „ტოიოტა კოროლა 1.4XLI" სახ. ნომრით DOO-610 გამოშვების წელი 2007 ს.კოდი: JTNBM58E902010326) პოლისით განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში ჩანაცვლების სრული ღირებულების ანაზღაურება სს "ჯი პი აი ჰოლდინგის" მიერ, რომელსაც იგი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მითითებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ე)" ქვეპუნქტისა და „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისათვის მოძრავი ნივთის გადაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 ოქტომბრის №328 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე- 3 მუხლისა და „სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისათვის მოძრავი ნივთის გადაცემის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 18 იანვრის №2 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის შესაბამისად გადარიცხავს შ.პ.ს. „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი"-ს ანგარიშზე.

3.1.2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მიერ შ.პ.ს. „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი"-დან ავტომანქანა „ტოიოტა კოროლა 1.4XLI", (ავტომანქანის სრული მონაცემები 2007 წელი, შავი, ს.კოდი: JTNBN58E30J000123) მიღება.

***4. ხელშეკრულების საერთო ღირებულება***

4.1 შესყიდვის ობიექტის საერთო ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 17470 (ჩვიდმეტიათას ოთხასსამოცდაათი) ლარს, საიდანაც:

4.2.1 „მზღვეველის" მიერ ამ ხელშეკრულების 3.1.1. მუხლით გათვალისწინებული, „მიმწოდებლისთვის" გადასარიცხი თანხა შეადგენს 13617 (ცამეტიათას ექვსასჩვიდმეტი ლარი და 57 თეთრი) ლარს.

4.2.2 „შემსყიდველის" მიერ „მიმწოდებლისთვის" ამ ხელშეკრულების 3.1.2 მუხლით გათვალისწინებული

სატრანსპორტო საშუალების შესაძენად გადასახდელი თანხა შეადგენს 3852 (სამიათას რვაასორმოცდათორმეტ ლარი და 43 თეთრი) ლარს.

4.2.3 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულებაში შედის 3.1.2 მუხლით გათვალისწინებული ავტო მანქანის განბაჟებისა და გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

### *5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

5.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

5.2. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა.

### *6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2011 წლის 15 მარტამდე

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებელის გამზირი, მე-20 კმ.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, „მიმწოდებელი" ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის".

### *7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

7.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის", „მზღვეველისა" და „მიმწოდებლის" მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

7.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება არაუგვიანეს 3 დღისა საქონლის მიწოდებიდან.

### *8. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში

8.2 გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება გადარიცხვით „მიმწოდებლის" საბანკო ანგარიშზე.

8.3 ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ მოხდება მიღება – ჩაბარების აქტისა და სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 5 საბანკო დღის ვადაში.

8.4 ანაზღაურების ადგილია ქალაქი თბილისი.

### *9. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

9.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

9.2. „შემსყიდველი" ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
- „შემსყიდველი" ვალდებულებას იღებს „მზღვეველის" მიერ ამ შეთანხმების 4.2.1.-ში მითითებული თანხის გადარიცხვიდან 10 დღეში, ჰოლდინგს საკუთრებაში გადასცეს 2011 წლის 31 იანვარს მომხდარი ავტოსატრანსპორტო შემთხვევის შედეგად დაზიანებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „ტოიოტა კოროლა LAXLI" სახ. ნომრით DOO-610 გამოშვების წელი 2007 ს.კოდი: JTNBM58E902010326). ავტომანქანის ფაქტობრივი გადაცემა დადასტურდება მიღება ჩაბარების აქტით.
- „შემსყიდველი" ვალდებულებას იღებს განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება (მათ შორის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის გამოცემა) რაც საჭირო იქნება აღნიშნულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე „მზღვეველის" საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში.

9.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

- მოსთხოვოს „შემსყიდველს" შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

9.4. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

9.4.1 მიმწოდებელი – შ.პ.ს. „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი" სის ვალდებულია სს "ჯი პი აი ჰოლდინგისაგან" ამ ხელშეკრულების 4.2.1 მუხლით გათვალისწინებული თანხა მიიღოს და ჩათვალოს ამავე ხელშეკრულების 4.2 მუხლით გათვალისწინებული ავტომანქანის ღირებულებაში.

### *10 მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე

ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

10.3. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

10.4. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

10.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,07 %-ის ოდენობით.

### *11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

11.1. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2011 წლის 31 მარტამდე.

### *12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *13. ფორს-მაჟორი*

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

### *14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

### *15. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

15.1. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს შემოწმება, რომლის მიზანია შესყიდვის ობიექტის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

15.2. ხელშეკრულების ინსპექტირებას და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი გურამ ნინიძე

15.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

15.4. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით

### *16. სხვა პირობები*

16.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## *17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

| **“მზღვეველი“** | **“შემსყიდველი“** |
|---|---|
| სს „სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი ჰოლდინგი“<br>მისამართი: ქ. თბილისი კოსტავას 67<br>ტელ: 505111<br>ფაქსი: 365222<br>ს/კ 204426674<br><br>გენერალური დირექტორი<br>გ. კვირიკაძე<br><br>დირექტორის მოადგილე<br>მ. ფიჩხაძე | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის<br>მთავრობის აპარატი<br>ს. კოდი 245424090<br>მისამართი: ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას ქ №9<br><br>აჭარის სახაზინო სამსახური<br><br>აპარატის უფროსი<br>ო. მეგრელიძე |

**“მიმწოდებელი“**

| |
|---|
| შ.პ.ს. „ქარ რენთ ენდ თრეიდ-ინ ქომფანი“<br>მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-20 კილომეტრი<br>ტელ: 14 01 01<br>ს.კ. 404851852<br>ს/ს „საქართველოს ბანკის“<br>ანგარიშსწორების ანგარიში - **№262324200**<br>ბანკის კოდი – **BAGAGE22**<br><br>დირექტორი მ. წაქაძე |